პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 31 დეკემბერი, 1943 წ. № 269 (6894). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვაფუვინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ ჟიტომირის მიმართულებით, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და ექვსი დღის შეუპოვარი ბრძოლების განმავლობაში, 29 დეკემბრის დამლევისათვის, წინ წაიწიეს 50-დან 100 კილომეტრამდე, ამასთან გააფართოვეს გარღვევა ფრონტით 300 კილომეტრამდე.

შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა რვა სატანკო დივიზია, მათ შორის „სს“ სატანკო დივიზიები „ადოლფ ჰიტლერი“ და „რაიხი“, და თოთხმეტი ქვეითი დივიზია.

წარმატებითი შეტევის შედეგად ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი კოროსტენი, ქალაქები ვოლოდარსკ-ვოლინსკი, ჩერვონოარმეისკი, ჩერნიახოვი, რადომიშლი, კოროსტიშევი, ქალაქი და უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი კაზატინი, ქალაქი სკვირა და დაიკავეს 1.000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიახოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ბრეჩკოს, გენერალ-ლეიტენანტ შმაჩენკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის, გენერალ-მაიორ აფონინის, გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-მაიორ კირიუხინის ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ რიბალკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კატუკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პოლუბოიაროვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პანფილოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბეტმანის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ივანოვის ტანკისტებმა და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ტურბინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ივანოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კორიაშვილის, არტილერიის გენერალ-მაიორ ფროლოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოროლკოვის, პოლკოვნიკ გუსევისა და პოლკოვნიკ მინტიუკოვის არტილერისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობა, რომელმაც თავი გამოიჩინა, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 30 დეკემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა, — ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალვით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კოროსტენთან, ჟიტომირთან და კაზატინთან ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 30 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინს გადაეცა სუვოროვის I ხარისხის ორდენი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გუშინ, 30 დეკემბერს, სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინს, რომელიც დაჯილდოებულია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში წითელი არმიის ოპერაციების სწორი ხელმძღვანელობისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის. (საკდესი).

ავსტრალიის კავშირის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა დ. მალონიმ რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

1943 წლის 29 დეკემბერს, დღეს პირველ საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ავსტრალიის კავშირის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი დ. მალონეი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ დ. მალონეის ახლდნენ მისიის მრჩეველი ბ-ნი კ. ოფისერი, მისიის მე-2 მდივანი ბ-ნი პ. ჰეიდონი, მისიის მე-2 მდივანი ბ-ნი დ. მაკმილანი, ატაშეები ბ-ნი ვ. დუნკანი და ე. ჯენკინსი და ატაშე პრესის დარგში ბ-ნ დ. ვიშერი.

რწმუნების სიგელების გადაცემის დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-2 ევროპული განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. ნოვიკოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის თანამდებობის აღმსრულებელი ამხ. პ. ა. ბუშუევი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბ-ნ დ. მალონეისთან.

ბრძანებუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის გეშკარდაშის, ეკატერინოვკისა და მიხაილოვკის სასოფლო საბჭოების გადარქმევის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და

1) სოხუმის რაიონის სოფელ ბეშკარდაშს ეწოდოს სოფელი მთისუბანი და ბეშკარდაშის სასოფლო საბჭოს—მთისუბნის სასოფლო საბჭო.

2) სოფელ ეკატერინოვკას—სოფელი კელასური და ეკატერინოვკის სასოფლო საბჭოს—კელასურის სასოფლო საბჭო.

3) სოფელ მიხაილოვკას სოფელი შრომა და მიხაილოვკის სასოფლო საბჭოს — შრომის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 29 დეკემბერი. ქ. თბილისი.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

სოფრონტო კავშირგაბმულობის ორგანიზაციის დარგში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შინსახკომის მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. დაჯილდოებულთა შორის არიან:

ორითელი წარსაგვლავის ორდენით

1. ქობულიძე ივანე გიორგის-ძე—სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
2. ტოკმაკოვი სიმონ პავლეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი
3. შმიდტი ოშერ ხაიმის-ძე — სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. გაგლიევი ვახლდინ კოდირის-ძე—ტექნიკოს-ლეიტენანტი

მედლით „მამაცობისათვის“

1. რუდი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. გრძელიძე დავით ეგნატეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი
2. ალექსანდროვი თეოდორე თეოდორეს-ძე—სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი
3. ძამაშვილი ანტონ დავითის-ძე—სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი
4. გერასიმენკო ვლადიმერ პანტელეის-ძე—სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. ინოზემცევა ანა თეოდორეს-ასული — უმცროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი
2. მურავიოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი
3. ოგანესიანი არმენაკ ალექსანდრეს-ძე — სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი
4. არაკჩეევი ივანე გრიგოლის-ძე
5. ზიბეროვი ანდრია მირონის-ძე — სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი
6. ტოუნინი ნიკოლოზ პავლეს-ძე.

გზათა მშენებლობისა და რემონტის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლ. პ. ბერიას ბრძანებით, გზათა მშენებლობისა და რემონტის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის „საგზაო საქმის ოსტატის“ წოდება მიენიჭა საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს გიორგი ვლადიმერის-ძე რობიტაშვილს.

დაჯილდოებული არიან ნიშნით „ხაპატიო მეგზეი“:

1. ჯაფარიძე გიორგი ივანეს-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.
2. ლენტურგიდი დიმიტრი ივანეს-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მექანიკოსი.
3. ნანუაშვილი ვასილ ალექსის-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი
4. ფერაძე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გზის ოსტატი.
5. ფიცხელაური შალვა ილარიონის-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი.
6. ხაყვარელიძე დავით ნიკოლოზის-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 731-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მექანიკოსი.
7. სულაძე ნიკოლოზ ბაგრატის-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 739-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის გზის ოსტატი.
8. თოდაძე სიმონ მელიტონის-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 743-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი ინჟინერი.
9. ტუჩაშვილი მოსე ზაქარიას-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოების უფროსი.
10. ხოჯალია კოსტანტინე დიანოზის-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გზის ოსტატი.
11. ცერცვაძე დიმიტრი ონისიმეს-ძე—საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი ინჟინერი.
12. შალიკაშვილი შოთა ვლადიმერის-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 731-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი.
13. შვაჩკო დიმიტრი გრიგოლის-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკოვატორი.
14. ემუხვარი გიორგი ვარლამის-ძე — საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი.

ენაკიევო,
მეჯალურგიული ქარხანა
ამხანაგებს გუბკინს, ბიჩკოვსკის

მხურვალედ ვულოცავ ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს და მოსამსახურეებს ორი ბრძოდის წარმატებით აღდგენასა და ამუშავებას.

თქვენი საუცხოო მუშაობით თქვენ დასაწყისი მიეცით დონბასის შავი მეტალურგიის აღდგენას და დაამტკიცეთ, რომ მრეწველობის აღდგენისა და გერმანელთა გარბარბოსული პარპაშის შედეგთა ლიკვიდაციის ძნელი ამოცანა შეიძლება მოკლე ვადაში იქნას გადაჭრილი.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
29 დეკემბრის ოპერაციული ცნობიდან

29 დეკემბრის განმავლობაში ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის დასახლებული პუნქტები კოზლი, კოროლი, ზაბორაცი, ლოსვიდა, ბოროვნია, უგლიანი, კრასნი დვორი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი კოროსტენი, ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ჩერნიახოვი, ქალაქი და რკინიგზის სადგური სკვირა, აგრეთვე დაიკავეს 250-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჩიბირი, კუპიშენე, ბელოშვიცი, კოვალი, კრაპივნია, ნეგიევი, სალი, სელეცი, ჟადკი, ბრაჟინკა, ვიდიბორი, ბოგრეულევი, ანდრეევი, ბეჟევი, სლიპჩიცი, ტორჩინი, კამენი ბროდი, სტაროსელცი, ბუშეინიკი, სტუდენიცა, სტრიჟეკა, ლევკოვი, ვოლოსოვი, სტარაია და ნოვაია კოტელნია, კრასოვკა, ბელოპოლიე, რაჟივილოვკა, ვეჩნიბოროდკი, მალაია ჩერნიავკა, მალიე ნიუშურაცი, კარაგჩევი, ვეჩხოვნია, კრივოშეინცი, კრილოვკა, სელეზიოვკა, კრასნოლესი, ვინიცკიე სტავი და რკინიგზის სადგურები კლოჩკი, უშომირი, ვიბოვი, ტურჩინკა, ფასოვო, ბრადა, კოჩრჩა, პალეინჩენცი.

კიროვოგრადის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დნეპრის მოსახვევში, ქალაქ ზაპოროჟიეს დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და ბრძოლით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქ ზაპოროჟიეს გარეუბანი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, აგრეთვე დიდი დასახლებული პუნქტები ზელენოე ბაი, ლუკაშევკა, ველიკი ლუგი, ხორტიცა, კანცეროვკა, ბაბურკა, ნიჟნიპა ხორტიცა, რაზუმოვკა, ნოვო-ფედოროვკა და გასწმინდეს მტრისაგან კუნძული ხორტიცა.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

28 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 113 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 38 თვითმფრინავი.

* * *

30 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

30 დეკემბრის განმავლობაში ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, დაიკავეს ქალაქი და უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი კაზატინი, ქალაქი ვოლოდარსკ-ვოლინსკი, ქალაქი ჩერვონოარმეისკი, ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრები ლუგინი, რუჟინი, აგრეთვე დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, რომელთა შორის არის დიდი დასახლებული პუნქტები — ბოლსუნი, დავიდკი, უშომირი, გუტა მოშკოვკა, კრასევჩინა, სუხოვოლია, ზუბრინკა, დავიდოვკა, გრუშკი, ნოვოპოლი, კლიტიშჩი, ივანკოვი, ვილსკი, ზოროკოვი, ვისოკო-უკრაინსკოე, ტროკოვიჩი, ბოროდიშჩე, ლეშჩინი, ბოლშიე მოშკოვცი, ჩერვონნოე, ჩეხი, სინგაევკა, ბელუხოვცი, კლიახოვა, ბელილოვკა, ბალაშუტოვკა, მოლჩანოვკა, ბერეზიანკა, სამ-ბოროდოკი, რუდა, დროზდი, სიდორი, უსტინოვკა.

დნეპრის მოსახვევში ზაპოროჟიეს დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი ტომაკოვკა, დიდი დასახლებული პუნქტები ჩუშაკი, კიტაი, ბოროდკა, პრეობრაჟენკა, შიროკოე, მიხაილოვკა, პავლოვკა, მარიეევკა, ბელენკოე და რკინიგზის სადგურები კანცეროვკა, კოლხოზნაია, მე-2 დნეპროსტროი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

29 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 128 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით 5 შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშები, წინ წაიწიეს და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები. ვიტებსკის აღმოსავლეთით გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ ბრძოლებში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დაკლა და ტყვეები.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი და ქალაქი კაზატინი. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, აგრეთვე მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებიც სასწრაფოდ იყვნენ გადმოყვანილი ამ უბანზე. საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად გერმანელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან, ამასთან დაჩაყარეს საბრძოლო ტექნიკა და სამხედრო მასალა. ქალაქ კაზატინისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგეს წაგართვით 103 საველე და თვითმავალი ქვემეხი, ბევრი ნაღმსატყორცნი და სასროლი იარაღი, ერთი ჯავშნიანი მატარებელი, 7 ორთქლმავალი, 2 სარკინიგზო ეშელონი, 1.000-მდე ავტომანქანა, 100 მოტოციკლი, 300 ცხენი, საწვავის საწყობი და დიდი საწყობები სურსათისაგან. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი ვოლოდარსკ-ვოლინსკი, ქალაქი ჩერვონოარმეისკი, რაიონული ცენტრები ლუგინი და რუჟინი, აგრეთვე 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ერთი დღის განმავლობაში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 70 ტანკი და თვითმავალ ქვემეხი.

* * *

ქალაქ ზაპოროჟიეს დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი ტომაკოვკა, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. საბჭოთა ნაწილებმა გერმანელებს დაარტყეს ორი მიმართულებიდან, დასძლიეს ნაღმიანი არეები და გარშემორტყმის საფრთხე შეუქმნეს მოწინააღმდეგის ჯარებს. გერმანელებმა იწყეს უწესრიგოდ უკან დახევა. ნაწილის მებრძოლები დაედევნენ ჰიტლერელებს, გაელიტეს მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 24 ქვემეხი, 13 ნაღმსატყორცნი, 60 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. ტყვედ წამოყვანილია გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მნიშვნელოვანი ჯგუფი.

* * *

ბელორუსი პარტიზანი კაცები და ქალები ურტყამენ მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს. მარტო ერთი დღის განმავლობაში შჩორსის სახელობის რაზმმა ლიანდაგიდან გადაავდო გერმანელთა 9 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. დამტვრეულია 8 ორთქლმავალი, 40 ვაგონი ჯარებიანად და საბრძოლო ტექნიკიანად, 13 ვაგონი საომარ მასალებიანად და 3 პლატფორმა ქვემეხებიანად. ჩაპაევის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის პარტიზანულმა რაზმებმა გაანადგურეს გერმანელთა ავტოკოლონა, რომელიც გზატკეცილით მიდიოდა. საბჭოთა პატრიოტებმა გაელიტეს 160 ჰიტლერელი, მოსპეს მოწინააღმდეგის 20 ავტომანქანა, 10 სამშუარი და ერთი ჯავშნიანი მანქანა.

* * *

გერმანიის მე-2 საპარაშუტო-სადესანტო დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის ტყვე ეფრეიტორმა ჰეგბარდ გედეკემ განაცხადა: „ჩვენი დივიზიის შემადგენლობაში შედიოდნენ მე-5, მე-6 და მე-7 პოლკები, მესანგრეთა ბატალიონი, საარტილერიო დივიზიონი და ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი. მეორე და პირველი საპარაშუტო-სადესანტო დივიზიები იტალიაში იმყოფებოდნენ. პირველი მათგანი მონაწილეობდა ბრძოლებში კუნძულ სიცილიაზე და განადგურებულ იქნა. მეორე მონაწილეობას იღებდა იტალიაში წარმოებულ საომარ ოპერაციებში, შემდეგ კი გადმოყვანილ იქნა კიევთან. რადომიშლის რაიონში რომ ჩამოვედით, ჩვენ გავიგეთ, რომ არის გერინგის ჩრაანება, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული — სადესანტო ნაწილებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ კიევის დაპყრობაშიო. კიევზე შეტევა, რაც ჩვენ ძალიან დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა, ჩაიშალა. მალე რუსები კონტრშემოტევაზე გადმოვიდნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში ორარად აქციეს გერმანიის ჯარების უმნიშვნელო წარმატებანი, რაც უდიდესი ზარალის ფასად დაგვიჯდა“.

* * *

ჟიტომირის ოლქის დაბა ნაროდიჩის მცხოვრებებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადებისა და მათი უნგრელი დამქაშების მხეცობის შესახებ აქტში ნათქვამია: „ჟიტომირის ოლქის ნაროდიჩის რაიონი განთქმული იყო მთელს ჩვენს ქვეყანაში მაღალხარისხოვანი სელით. გერმანელმა ოკუპანტებმა გააჩაგეს რაიონის სოფლის მეურნეობა და გაანადგურეს ბევრი სოფელი. ნაროდიჩში ფაშისტმა მტარვალებმა ერთი დღის განმავლობაში დახვრიტეს 250 ბავშვი და ოთხი მასწავლებელი ქალი. სისხლიანი რბევა-აწიოკება მოაწყეს გერმანელებმა დაბებში — კოკონინასა და კოსობლიკში. ჰიტლერელები იქრებოდნენ სახლებში, ამსხვრევდნენ მინებს, ამტვრევდნენ ავეჯს, იტაცებდნენ ქონებას, ჰკლავდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. სამი დღის განმავლობაში ფაშისტმა ჯალათებმა და მათმა უნგრელმა მაჰაინჩალებმა დახვრიტეს ამ დაბების 700 მცხოვრები. გერმანელებმა ძალით გარეკეს გერმანიის კატორღაში რაიონის 2 ათასამდე მცხოვრები. ფაშისტურ მონობაში საბჭოთა მოქალაქეების იძულებითს გაგზავნას თან სდევდა მასობრივი დაპატიმრება და ხვრეტა.

დაბა ნაროდიჩსა და ნაროდიჩის რაიონში მხეცობის მთავარ ორგანიზატორებად ჩვენ ვთვლით გერმანელ კომენდანტებს ჰალფასს, შულცს, ჰაბელს, მორიცს, ენანდარმერიის უფროსს კვასს და „სს“-ელს რეზნერს“.

აქტს ხელს აწერენ დაბა ნაროდიჩის მცხოვრებნი: პავლე გორბაჩევსკი, ოლგა სიმონენკო, მიხეილ პრისიაჟნიუკი, მარიამ მელნიკი, პეტრე ფარდიგოლა, ალექსანდრე ბაშინსკი, ანდრია პოპოვიჩი, ალექსანდრე ოსადჩა.

ეხმაურებიან კამენსკელებისა და ბეჟეცკელების მიმართვას

კასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კალინინს ოლქის ბეჟეცკის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს მუშაკთა მიმართვის პასუხად კასპის მტს-ის სახელოსნოს მუშაკებმა იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი: 1943 წლის მეოთხე კვარტალში 13 ტრაქტორის ნაცვლად შეაკეთონ 14 ტრაქტორი, მოიმარაგონ მთელი საჭირო სამარაგო ნაწილები და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტრაქტორები. ფილიმონ მანგოშვილის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 4 ტრაქტორი ვადაზე ადრე შეაკეთოს, სტახანოველმა ბრიგადირმა ალექსანდრე გურწიშვილმა იკისრა ბეჟეცკის გადაჭარბებით შეაკეთოს ერთი ტრაქტორი.

კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა მელქო ქეთიშვილმა ვანო ხვთისიაშვილმა, დავით მერებაშვილმა, ვასილ დანლიჩენკომ. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიდან: მიხეილ ლობჟანიძემ, ალექსანდრე გაგნიძემ, ბესარიონ კუპრაშვილმა და სხვ. ხარატმა მიხეილ გეჯაძემ იკისრა ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით შეასრულოს. ასეთივე ვალდებულებები იკისრა მეჭედელმა ლევან ღონინაძემ. კასპის მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს მუშაკთა კოლექტივი შეუდგა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ვ. გუზალაძე

სოფას დამზადების გეგმის შესრულება

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა დაწესებულ ვადაზე ადრე, 27 დეკემბრისათვის მთლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის 1943 წლის სოფის სავალდებულო ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 150.000 კილოგრამი სოფა. გარდა ამისა, წარსული წლების ნარჩენის ანგარიშში ჩაბარებულია 20.000 კილოგრამი ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი პ. ნანიტაშვილი
რაიხალბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. ენდელაძე

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ენაკიევოს მეჯალურგიული ქარხნის მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენი მამაცი წითელი არმია ამხვრევს მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, ძლევამოსილად მიიწევს წინ დასავლეთისაკენ და ფაშისტური სიბინძურისაგან გაათავისუფლებს ჩვენს მიწა-წყალს, მთელი ჩვენი ფიქრები და თვალი მოპყრობილია თქვენსაკენ — ჩვენი მამის, მასწავლებლისა და მხედართმთავრისაკენ.

ოცდაორი თვის განმავლობაში პარპაშობდნენ გერმანელი ოკუპანტები ჩვენს დონბასში. მათ დასწვეს ჩვენი ქალაქები, ააფეთქეს ქარხნები, წყლით ამოავსეს შახტები. სიკვდილი და შიმშილი მოუტანეს გერმანელმა ვანდალებმა ყოველ ქალაქს, ყოველ მუშათა დაბას. უდიდესი ნგრევა მიაყენეს მათ ჩვენს ქარხნებსაც.

ოთხი თვის წინათ წითელი არმიის მამაცმა ჯარებმა სრულიად-საკავშირო საცეცხლფარეშოს—დონბასის მიწა-წყალი გასწმინდეს ფაშისტური სიბილწისაგან. ჩვენს ქუჩაზე დღესასწაული დადგა! დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენ მონდობილი გვაქვს ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აღდგენა. შეწყობილად, ფიცხლად შეუდგა მუშაობას ჩვენი კოლექტივი, საბრძმედე ფოლადმსხმელები, მგლინავები საუცხოო ზ"მენებლები და მემონტაჟეები აღმოჩნდნენ. ადამიანები მუშაობდნენ ისე, რომ სძლევდნენ ყოველგვარ სიძნელეს, მუშაობდნენ ფრონტულად. ღრმად ჩაგებეჭდა გულში, ამხანაგო სტალინ, თქვენი სიტყვები, რომლებიც თქვენ სთქვით მოხსენებაში ოქტომბრის XXVI წლისთავის შესახებ, რომ საჭიროა საკვანძო და მოკლე ვადაში აღმოვფხვრათ გერმანელთა პარპაშის შედეგები გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

უკვე ახლა სრული ძალით გაჩაღდა მუშაობა მეურნეობისა და კულტურის აღსადგენად მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩვენ საკვებით უნდა აღმოვფხვრათ გერმანელთა პარპაშის შედეგები გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში. ეს დიდი საერთო-სახალხო ამოცანაა.

დღის ჩვენ სიხარულით გაცნობეთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ ჩვენმა შეუპოვარმა შრომამ თავისი დადებითი შედეგები მოიტანა: მწყობრში ჩადგა აღდგენის პროცესში მყოფი დონბასის - ორი საბრძმედე ღუმელი. ჩვენ სამშობლოს მივეცით დონეცის თუჯის პირველი ტონები ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში.

საბრძმედე ღუმელების შემდეგ მუშაობას დაიწყებენ ბესემერი, ბლუმინგი, საგლინავი ჩარხები.

ჩვენ ავამუშავეთ ქარხნის მარტო პირველი რიგი. წინ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვიძევს. მაგრამ რაოდენ დიდიც უნდა იყოს სიძნელეები, პირობას გაძლევთ მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ მტრის სრული განადგურების საქმეს.

ძვირფასო იო

მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოების სესიები

27 დეკემბერს შესდგა მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის რაიონული საბჭოების სესიები, რომლებმაც განიხილეს საკითხი რაიონის საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ და ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთი რაიონული საბჭოს სესიებზე განხილულ იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

სესიებზე დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

• • •

ლენინის რაიონის XVI სესიაზე მოხსენებით გამოსულმა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. თევზაძემ განაცხადა, რომ რაიონში 23 საბავშვო დაწესებულებაა. მათ შორის 4 საბავშვო ბაღი, 12 საბავშვო ბაღი, საბავშვო ინფექციური სამკურნალო პოლიკლინიკა, საბავშვო კვების პუნქტი და სხვ. სულ ეს საბავშვო დაწესებულებები მომსახურებას უწევენ 2.000-ზე მეტ ბავშვს.

ბავშვებზე ზრუნვას რაიონში დიდი ყურადღება ექცევა. გაუმჯობესდა ბავშვთა კვება, მკვეთრად შემცირდა ბავშვთა დაავადება, ხოლო ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები თითქმის სავსებით ლიკვიდირებულია. მომხსენებელმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ზოგ საწარმოსთან არსებულ (იეროვის სახელობის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სხვ.) საბავშვო დაწესებულებებს თავიანთი მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

თანამოხსენებით ამავე საკითხზე გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის მუდმივად მოქმედი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი მ. როხლინი, მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაჩრილულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 დეპუტატმა.

მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონის მეთექვსმეტე სესიაზე მოხსენებით გამოვიდა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ჩომახიძე. მან აღნიშნა, რომ რაიონის 26 საბავშვო დაწესებულება მომსახურებას უწევს 2.082 ბავშვს, რომელთა შორის უმეტესობას ფრონტელთა შვილები შეადგენენ. საბავშვო დაწესებულებებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭიროა ზოგიერთი შენობის რემონტი და აღმზრდელი პერსონალის მუშაობის უფრო მეტად მოწესრიგება. საბავშვო დაწესებულებებში აღმზრდელები ხშირად იცვლებიან, რაც გავლენას ახდენს აღზრდის საქმეზე. მომხსენებელი შეჩერდა საბავშვო დაწესებულებათა მუშაობაზე და აღნიშნა, რომ 1943 წელს წინა წელთან შედარებით საბავშვო დაწესებულებათა მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 დეპუტატმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. გოჩაშვილმა.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის რაიონული საბჭოს სესიაზე მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ცირეკიძე.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა სტალინური ზრუნვის შესახებ ნორჩ თაობაზე, იგი შეეხო რაიონში არსებული საბავშვო ბაღების, ბაღების, ბავშვთა პოლიკლინიკის, ბავშვთა კონსულტაციის მუშაობას და აღნიშნა, რომ ამ დარგში რაიონს აქვს ერთგვარი წარმატებები. მაგრამ შესამჩნევია ნაკლიც. „თბილტორგის“ № 120 მაღაზია სათანადო მომსახურებას და დახმარებას ვერ უწევს მოლოტოვის რაიონის საბავშვო დაწესებულებებს. საჭიროა ეს ნაკლი აღმოიფხვრას. ამასთან, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ბაღებსა და ბაგებში აღზრდელობითი და გამოჯანსაღებელი მუშაობა, ბავშვთა მოვლა, ბრძოლა სისუფთავის დაცვისათვის.

ამხ. ცირეკიძე აგრეთვე შეეხო ფრონტელთა ბავშვების მოვლის საკითხებს და ამ მიმართულებით მიღწეულებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა ევაკუირებული და უდედმამო ბავშვების მზრუნველობაზე. მან ილაპარაკა რაიონის საბავშვო დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებებზე და განაცხადა, რომ საჭიროა რაიონის საწარმოები, მათი ხელმძღვანელები ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ საბავშვო დაწესებულებებს.

მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები მაჭარაშვილი, იობაშვილი, პროფ. კალანდაძე, პროფ. ღვალაძე, ალად. ჩიქობავა, თბილისის საბჭოს დეპუტატი ჩარქეშვილი და აგრეთვე ამხანაგები ხოჭოლავა, პროფ. უგრელიძე, ერისთავი, ხუნდაძე.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო სესიამ დეპუტატი ე. ზომერიკი გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და გამოიყენა აღმასკომის შემადგენლობიდან. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად და კომუნალური განყოფილების გამგედ სესიამ დაამტკიცა ამხ. ლ. შავიშვილი. სხვა რაიონში სამუშაოდ წასვლის გამო სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის შემადგენლობიდან გამოიყვანა დეპუტატი ე. მაზანაშვილი.

კიროვის რაისაბჭოს XVII სესიაზე მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. სარქისოვმა.

ომის დღეებში გაიზარდა რაიონის საბავშვო დაწესებულებათა ქსელი. დაწესებულებები უმთავრესად მომსახურებას უწევენ ფრონტელთა შვილებს, ევაკუირებულ და უდედმამო ბავშვებს, აგრეთვე იმ ბავშვებს, რომელთა დედები საწარმოებში მუშაობენ. რაიონის ბავშვთა კონსულტაცია (გამგე მ. ალტუშელი) დიდ გამჯანსაღებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევა, რითაც საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა დაავადება და სიკვდილიანობა. მომხსენებელი შეეხო საბავშვო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი დაწესებულება მოუწყობელია, დაწესებული არ არის ზუსტი კონტროლი ბავშვთა კვებაზე. რაიონის ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი მუშაობაში სათანადო დახმარებას არ უწევს ბავშვთა დაწესებულებებს.

სესიაზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები ახატიანი, შაატოშვილი, მიქაბერიძე, ასლანოვა, თათეოსიანი, აგრეთვე ამხანაგები ღლონტი, ციხისელი, გიგინეიშვილი, კორეიკო.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო სესიამ ამხ. ლ. გვათუა გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ძოადგილედ არჩეულ იქნა ამხ. ბ. მეფარიშვილი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს XV სესიამ მოისმინა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპუტატ რ. ფირუმოვის მოხსენება.

— წელს რაიონში გაწეულ იქნა სათანადო მუშაობა ბავშვთა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად და მიღწეულ იქნა კარგი შედეგები, — სთქვა მომხსენებელმა მიმდინარე წლის ზაფხულში 510 ბავშვი გაიგზავნა სამკურნალოდ საქართველოს კურორტებზე, რაიონში მოწყობილი იყო ბავშვთა გამჯანსაღებელი მოედანი სანატორიუმის ტიპისა. კარგი მუშაობით გამოირჩევა № 116 საბავშვო ბაღი (გამგე ს. აკოფოვა), რომელიც მიიღო რესპუბლიკური გარდამავალი დროშა. კარგად მუშაობს № 22 საბავშვო ბაღიც (გამგე ელიოვა). მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებებიც, საბავშვო დაწესებულებათა მუშაობაში. სესიაზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები: გ. არუშანოვი, ე. ხეკსურიანი, გ. მალიაროვი და სხვები.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო სესიამ დეპუტატი კ. გვალია გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. აგრეთვე სხვა რაიონში სამუშაოდ წასვლის გამო სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის შემადგენლობიდან გამოიყვანა დეპუტატები ნ. გიგაური და ნ. რეპანი, ხოლო მათ მაგიერ აირჩია დეპუტატები ტ. დარჩია და პ. აგანიანი.

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 29 დეკემბერი (საკადესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რუზველტმა გამოაცხადა, რომ მან გადასწყვიტა შენარჩუნებულ იქნას მთავრობის კონტროლი ა. შ. შტატების რკინიგზებზე ახლანდელი საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე. რკინიგზები პატრონებს დაუბრუნდებათ, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება.

რუზველტის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა ა. შ. შტატების რკინიგზების მიმართ მთავრობის კონტროლის დაწესების შესახებ განკარგულებასთან ერთად, სხვათა შორის აღნიშნულია: „რკინიგზელთა სამმა პროფკავშირმა გადასწყვიტა დაიწყოს გაფიცვა რკინიგზებზე 30 დეკემბრიდან. მე არ შეგიძლია დავუცადო უკანასკნელ მომენტს იმ ზომების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი შეიარაღებული ძალების შეუფერხებელ მომარაგებას, ამის შესაბამისად მე იძულებული ვარ დაუყოვნებლივ ავიღო ჩემს დროებით განკარგულებაში რკინიგზები და დავაწესო კონტროლი მათზე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი შეუფერხებელი მუშაობა. მთავრობას იმედი აქვს, რომ ყოველი რკინიგზელი თავის პოსტზე დარჩება. დიდი საომარი შეტევითი ოპერაციები, რაც დასახულია ამჟამად, არ უნდა გადაიდოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრანსპორტის მუშაობის შეფერხების გამო. თუ რომელიმე რკინიგზელი მუშა ამჟამად გაფიცვას გამოაცხადებს, ის შეურიგებელი შტატების მთავრობის წინააღმდეგ გაიფიცება“.

რუზველტმა წინადადება მისცა სამხედრო მინისტრ სტიმსონს ნება დართოს მეწარმეებს განაგრძონ რკინიგზების მართვა, რომელიც „ამ განკარგულების მიზნებს მაქსიმალურად უნდა შეეთავსებოდეს“.

კონფლიქტი რკინიგზებზე წარმოიშვა ხელფასის ოდენობის საკითხთან დაკავშირებით.

ინგლისის ბომბდამშენების თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 30 დეკემბერი (საკადესი). როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 29 დეკემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა მეტად გაადვილებული თავდასხმა მოახდინეს ბერლინზე. ქალაქს დააყარეს ორიათასი ტონაზე მეტი ფუძასური და ცეცხლგამჩენი ბომბები. ამ თავდასხმაში მონაწილე მფრინავთა ცნობებით, ხანძრის კვამლი ხუთიათას მეტრამდე სიმაღლეზე ავიდა.

„მოსკიტო“ თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ საფრანგეთში, ცენტრალურ და დასავლეთ გერმანიაში მდებარე ობიექტებზე. გრძელდებოდა მოწინააღმდეგის წყლების დანაღმვა.

თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 20 თვითმფრინავი.

გერმანიის ფლოტის ზარალი

ლონდონი, 30 დეკემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ომის დასაწყისიდან გერმანიამ დაკარგა სულ ცოტა 42 საესკადრო ნაღმოსანი და ტორპედიანი კატერი. ბისკაიის ყურეში ჩატარებულმა უკანასკნელმა ოპერაციამ ახალი ზარალი მიაყენა გერმანიის ნაოსნობას, რომელიც ძალ-ღონეს ძაბავს, რათა შეავსებო